შპს გურია ფიშ ფარმინგ

საქართველო, ლანჩხუთის რაიონი,
სოფელი წყალწმინდა
☎+995593409570
Guriafishfarming@gmail.com

Guria Fish Farming LLC

Georgia, Lanchkhuti Region,
village Tskalsminda
☎+995593409570
Guriafishfarming@gmail.com

19/22

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს,

ადრესატი: გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის

უფროსის მოვალეობის შემსრულებელს:

ბ-ნ თეიმურაზ მთივლიშვილს

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
25 - 05 2022 წ.
№ 1800

შპს „გურია ფიშ ფარმინგ"-ის ორაგულის მეურნეობის მშენებლობა 2021 წლის იანვრის თვეში დაიწყო, ხოლო თევზის ზრდის პროცესი კი 2022 წლის იანვრიდან მიმდინარეობს. მეურნეობა მოწყობილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ წყალწმინდას ტერიტორიაზე. კომპანიას დაგეგმილი აქვს უკვე არსებული თევზსაშენი მეურნეობის წარმადობის გაზრდა/გაფართოება. პროექტის თანახმად, ჟანგბადის სისტემების არსებობის პირობებში, ნორვეგიული ორაგულის წარმოება დაგეგმილია 1 მ 3 წყალში - 100 კგ. თევზის სიმჭიდროვით, რომლის დროსაც 50,000 მ3-ი საერთო მოცულობის რეზერვუარებში (კონსტრუქციებში) თევზის მაქსიმალური ტევადობა იქნება 5,000 ტონა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნორვეგიული ორაგულის წლიური წარმოება იქნება 10,000 ტონა. კოდექსის I დანართის 21-ე პუნქტის თანახმად, კაშხლის ან/და სხვა ნაგებობის მშენებლობა და ექსპლუატაცია, რომელიც წყლის შესაკავებლად ან მუდმივად დასაგროვებლად გამოიყენება და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 50 000 მ 3 -ზე მეტია, ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.9 ქვეპუნქტის მიხედვით, კაშხლის ან/და სხვა ნაგებობის/მოწყობილობის მშენებლობა, რომლის მშენებლობა მიზანშეწონილია წყლის შეკავების ან წყლის გრძელვადიანი დაგროვების მიზნით და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 10 000 მ 3 -ზე მეტია საჭიროებს სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებას. ამასთანავე, კოდექსის II დანართის პირველი პუნქტის 1.6 ქვეპუნქტის შესაბამისად, წელიწადში 40 ტონაზე მეტი წარმადობის აკვაკულტურის მეურნეობის მოწყობა (წყლის ცხოველური ორგანიზმებისა და მცენარეების მოშენება) საჭიროებს სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებას. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის 22 მარტის N 2765/01 წერილის მიხედვით, შპს „გურია ფიშ ფარმინგი"-ს საქიანობა განიხილება, როგორც კოდექსით გათვალისწინებული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობა და საჭიროებს შესაბამისი პროცედურების გავლას. თუმცა, კოდექსის მიხედვით „თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი

გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სააგენტოს სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე, ამავე კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე განცხადება. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები". სწორედ აღნიშნულის საფუძველზეა მომზადებული შპს „გურია ფიშ ფარმინგ"-ის სკოპინგის ანგარიში. წერილს თან ერთვის:

1. შპს „გურია ფიშ ფარმინგ"-ის თევზსაშენი მეურნეობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში (როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული ვერსია);

2. საქმიანობის განხორციელების ადგილის shp-ფაილები;

3. მშენებლობის ნებართვა, განმარტებით ბარათთან ერთად;

პატივისცემით,

შპს „გურია ფიშ ფარმინგ"

დირექტორი: ვ.დობორჯგინიძე

24/05/2022 წ